



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
30 მაისი, 2016


ეკონომიკა

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2016 წლის აპრილში წლიურად 4.2%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდა 6.6% იყო) და 15.5 მლრდ ლარი შეადგინა. საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2016 წლის აპრილში წლიურად 11.4%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით ზრდა 14.2% იყო) და 14.4 მლრდ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში უმოქმედო სესხები 3.6%-ს გაუტოლდა (წინა თვესთან შედარებით 0.4%-ული პუნქტით მოიმატა).

უძრავი ქონების რეგისტრაცია: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს თანახმად, 2016 წლის აპრილში, უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობამ 55,882 ერთეული შეადგინა, რომელიც წინა წლის აპრილთან შედარებით 32.4%-ით არის გაზრდილი. ზრდა დაფიქსირდა როგორც პირველად (+66.1% წ/წ), ასევე მეორად (+24.5% წ/წ) სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობაში.


უზრუნველყოფის დონე: საქსტატის თანახმად, 2015 წელს საქართველოში უზრუნველყოფის დონე 2014 წელთან შედარებით 0.4%-ული პუნქტით შემცირდა და 12.0% შეადგინა. აღსანიშნავია რომ, 2015 წელს უზრუნველყოფის დონე ბოლო 12 წლის მანძილზე ყველაზე დაბალ ნიშნულზე დაფიქსირდა. 2015 წელს 2014 წელთან შედარებით, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 8.8%-ით და 753.4 ათასი ადამიანი შეადგინა, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა 2.7%-ით შემცირდა და 1.0 მლნ ადამიანი შეადგინა.

უმოქმედო სესხები



წყარო: სებ

უზრუნველყოფის დონე



წყარო: საქსტატი

ეკონომიკური ინდიკატორები


	4M16	2015	2014
მშპ (%-ლი ცვლილება)	2.3%*	2.8%	4.6%
მშპ ერთ სულზე (ppp)	...	9,566	9,209
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	3,743	3,676
მოსახლეობა (მლნ)	3.7**	3.7**	4.5
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	3.2%	4.9%	2.0%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.5	2.5	2.7
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	...	11.8%	10.6%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	3.8%	3.0%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	41.5%	35.5%

წყარო: ოფიციალური მონაცემები

* მოცემულია 3M16-ის მდგომარეობით

** მოსახლეობის აღწერის წინასწარი შედეგები

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

შენიშვნა: 1Q16-ს ზრდა მოცემულია წინასწარი შეფასებით

საქართველოს საერთაშორისო რეიტინგები, 2016

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №24 (რეგიონის ლიდერი)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №23 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №66 (გაუმჯობესებული ტენდენცია)

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POOR'S BB- სტაბილური დამატებითი მაისი-2015	Moody's INVESTORS SERVICE Ba3 სტაბილური დამატებითი მარტი-2016	FitchRatings BB- სტაბილური დამატებითი აპრილი-2016
---	---	---

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 250 მლნ ლარის (116.4 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 6-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.

სადეპოზიტო სერტიფიკატები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 91-დღიანი, 20 მლნ ლარის (9.1 მლნ აშშ დოლარი) ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები გაყიდა. საპროცენტო განაკვეთმა საშუალოდ 7.50% შეადგინა (104 საბაზისო პუნქტით ნაკლები წინა განთავსებასთან შედარებით).


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2016 წლის 18 მაისს 1-წლიანი 45 მლნ ლარის (20.7 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7.986% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2016 წლის 1 ივნისს, სადაც 1-წლიანი 25 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ
შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემები

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სებ
შენიშვნა: ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2016 წლის 15 ივნისს შედგება.

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სებ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ოპერაციები


კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ვერობლიგაციები (GEBGG) დაიხურა 3.9%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 104.1 (-0.4% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ვერობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით - 101.9 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 4.8%-იანი შემოსავლიანობით, ხოლო საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაციები (GRAIL) ივაჭრებოდა 110.0 ფასად (+0.4% წინა კვირასთან შედარებით), 5.8%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაციები (GEORG) დაიხურა ფასით - 110.6 (-0.2% წინა კვირასთან შედარებით), 4.4%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა %)



საქართველოს ვერობლიგაციების ბაზარი



	ადგილობრივი ოპერაციები					ვერობლიგაციები				
	Nikora 03/18	GWP 11/17	M2RE 03/17	EVEX 05/17	GLC 09/17	GEOROG 04/21	GEOROG 05/17	GEBGG 07/17	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	5	6*	20	15	10	250	250	400	500	500
გამოშვების თარიღი	03/16	12/15	03/15	05/15	09/14	აპრ-2016	მაი-2012	ივლ-2012	აპრ-2011	ივლ-2012
დაფარვის თარიღი	03/18	12/17	03/17	05/17	09/17	აპრ-2021	მაი-2017	ივლ-2017	აპრ-2021	ივლ-2022
კუპონი, %	11.000	15.000**	9.500	9.500	8.750	6.750%	6.875%	7.750%	6.875%	7.750%
Fitch/S&P/ Moody's	-/-	BB-/-	-/-	-/-	-/-	BB-/-	BB-/B+	BB-/BB- /Ba3	BB-/BB- /Ba3	BB-/BB-/-
საშუალო ფასი, აშშ \$	100.0	100.0*	101.6	101.87	100.65	101.7	101.9	104.1	110.6	110.0
საშუალო პროცენტი %	11.0	15.0	7.75	7.75	8.25	6.3	4.8	3.9	4.4	5.8
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	493.5	385.7	282.0	304.4	436.2

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 11/17 მოცემულია ლარში

** მცურავი კურსი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთის დამატებული 7.5%)

აღმოსავლეთი ევროპის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგი (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Ba3	110.6	4.4	304.4
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BB+/-/Ba1	96.6	5.3	369.6
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB/-	119.2	1.1	-247.9
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB/BB/Ba2	102.7	3.4	324.6
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BB+/BB+/Ba1	113.7	3.3	189.7
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	118.2	3.2	181.9
რუსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BB+/Ba1	105.5	3.5	218.6
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BBB-/NR/Baa3	107.0	4.0	265.9

წყარო: ბლუმბერგი





აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 25.77 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (+7.42% წინა კვირასთან შედარებით და +15.10% გასულ თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 419 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 23.73 – 26.50 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 63 ათასი აქცია შეადგინა, რაც გასული თვის მონაცემზე მეტია. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან მოიმატა 2.86%-ით ხოლო წინა თვესთან მოიმატა 0.74%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 1.06% შეადგინა.


თიბისი ბანკის (TBCB LI) აქციები დაიხურა 13.00 აშშ დოლარში (+8.33% წინა კვირასთან შედარებით და +23.81% წინა თვესთან შედარებით). ბანკის გლობალური სადეპოზიტო ხელწერილებით (GDR) ვაჭრობის მოცულობამ 38 ათასს გადააჭარბა, US\$ 11.75 – 13.00 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 11 ათასი აქცია შეადგინა, რაც მეტია გასული თვის შესაბამის მონაცემთან შედარებით.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 2.52 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (+8.62% წინა კვირასთან შედარებით და +30.57% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 269 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 2.21 – 2.62 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 35 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.09% შეადგინა.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე ლიბერთი ბანკის აქციები ივაჭრებოდა 0.015 ლარად (-5.7% წინა კვირასთან შედარებით). შედეგად გალტ ენდ თაგარტის ინდექსი შემცირდა და 796.64-ს გაუტოლდა (-0.01% წინა კვირასთან შედარებით).



წყარო: ბლუმბერგი



აღმოსავლეთი ევროპის ბანკები								
კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
BGEO*	BGEO	37.71	1,490	15.7%	38.7%	35.5%	16.6%	26.8%
TBC	TBC	13.00	651	23.8%	36.8%	45.1%	3.2%	14.0%
Halyk Bank	HSBK	4.81	1,312	25.9%	33.2%	-21.8%	-43.4%	-35.9%
KKB	KKB	1.59	634	17.8%	89.3%	-0.6%	-58.2%	-50.3%
VTB Bank	VTBR	2.05	13,252	-2.5%	9.6%	-4.9%	-11.1%	-34.9%
Vozrozhdenie Bank	VZRZ	9.78	232	26.4%	43.1%	6.1%	32.6%	16.0%
Sberbank	SBER	8.48	45,748	9.2%	41.5%	24.8%	109.3%	47.0%

წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: *BGEO ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)

ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები								
კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
GHG*	GHG	3.69	486	31.3%	73.7%	38.5%	nm	nm
Mouwasat	MOUWASAT	34.48	1,724	0.6%	13.9%	13.5%	4.9%	-9.4%
Fortis	FORH	2.45	1,134	-8.6%	0.9%	1.6%	39.4%	-3.3%
Raffles	RFMD	1.12	1,937	-0.9%	8.5%	12.4%	14.4%	4.0%
IHH	IHH	1.60	13,160	-5.3%	3.8%	6.3%	16.2%	1.5%
Bangkok Chain	BCH	0.31	782	2.0%	13.8%	34.8%	30.6%	50.3%
Netcare	NTC	2.12	3,095	-15.3%	6.0%	-15.3%	-35.5%	-34.3%

წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: *GHG ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვნებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევს, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მოთხოვნილი თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განთავსება ითვლება რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge